ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

„ადმინისტრაციული დუმილის“ პრაქტიკა

(სამინისტროები და მათი დაქვემდებარებული უწყებები)

მაისი, 2015

კვლევა განხორციელდა პროექტ "**საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“- ფარგლებში**

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოების ფონდები

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

*ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს“** და **ღია საზოგადოების ფონდების** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.*

სარჩევი

შესავალი 2

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 4
- საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო 7
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 9
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 10
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 13
- სამინისტროების დაქვემდებარებული უწყებები 14

დასკვნა 16

შესავალი

2015 წლის მარტის თვეში IDFI-იმ საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით მიმართა ყველა სამინისტროსა და სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას. მითითებულ დაწესებულებებს გაეგზავნათ სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თანამდებობის პირთა მიერ 2014 წლის განმავლობაში მიღებული პრემიები და სახელფასო დანამატები, უწყების მიერ გაწეული წარმომადგენლობითი, სამივლინებო, როუმინგული ხარჯები, აუდიტორული შემოწმების აქტები, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდული ავტომობილების ჩამონათვალი, ჩანაცვლებული ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, ინფორმაცია შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა (ცალ-ცალკე) რაოდენობის შესახებ გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა), გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა და მონაცემები თანამდებობის პირთა სამუშაო გამოცდილების შესახებ (cv). დამატებით სამინისტროებს საკუთარი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე გაეგზავნათ არასტანდარტული შეკითხვებიც. მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოთხოვნილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია ავტო-საგზაო შემთხვევებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტებზე დაჯარიმებულ პირთა რაოდენობის შესახებ, თავდაცვის სამინისტროდან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ავღანეთში, ერაყსა და უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში დაჭრილ და გარდაცვლილ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობისა და მათი ოჯახებისთვის გაწეული ფინანსური დახმარების შესახებ.

ჯამში 1185 შეკითხვა გაეგზავნა 19 სამინისტროსა და 49 სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას. აქედან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ მოთხოვნათა 51.8%-ზე, არასრულყოფილი 2.9%-ზე, ინფორმაციის მოწოდებაზე უარი გვითხრეს 1.6% შემთხვევაში, 20.8% შემთხვევაში შესაბამის საჯარო დაწესებულებაში არ ინახებოდა მოთხოვნილი ინფორმაცია. **ამასთან უპასუხოდ დარჩა ჩვენ მოთხოვნათა 22.9 %.**

საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად გაცემის უპრეცედენტოდ დაბალი მაჩვენებელი (51.8%) განპირობებულია იმით, რომ სამმა სამინისტრომ და მათზე დაქვემდებარებულმა ცხრა უწყებამ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ ჩვენი განცხადება. ყველა მოცემულ უწყებაში წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული საჩივარი. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა ისევე, როგორც ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით ადმინისტრაციული საჩივრების წარდგენის შემდეგ მოგვაწოდეს.

სამინისტროები, რომლებმაც უპასუხოდ დატოვეს ჩვენი განცხადებები

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სამინისტროები, რომლებმაც ინფორმაცია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ მოგვაწოდეს

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

სამინისტროებს, რომლებმაც უპასუხოდ დატოვეს ჩვენი განცხადება საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ წარმოადგენდნენ საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები (საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა მოთხოვნილი ინფორმაცია არასრულყოფილი სახით მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ მოგვაწოდეს). **აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სამინისტრო გამჭირვალობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში, ხოლო მომდევნო წლებში, ადმინისტრაციულ ორგანოთა ღიაობის მაჩვენებელი ეტაპობრივად იკლებდა.** ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ მითითებული სამინისტროებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციებს 2012 წლიდან დღემდე. ამ ეტაპზე კი მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2012 წლის ოქტომბერი - 2013 წლის სექტემბრის პერიოდში ადმინისტრაციულ ორგანოთა (ყველა ადმინისტრაციული ორგანო) მიერ ჩვენთვის მოწოდებული სრულყოფილი პასუხების რაოდენობამ 81%-ს შეადგინა, ხოლო 2013 წლის ოქტომბრიდან სრულყოფილი პასუხების მოწოდების პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა და 2014 წლის დეკემბრამდე პერიოდში 66% შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



აღსანიშნავია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ფინანსთა სამინისტრო გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, თუმცა მომდევნო წლებში უწყების გამჭვირვალობის ხარისხი მნიშვნელოვნად დაეცა. კერძოდ **2013 წლის მონაცემებით ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 70% იყო, 2014 წელს ეს მაჩვენებელი 43,3%-მდე შემცირდა, ხოლო 2015 წლის მარტის მდგომარეობით, სამინისტრომ ადმინისტრაციული დუმილით უპასუხა ჩვენს მიერ მოთხოვნილ 17 პუნქტიან განცხადებას და შესაბამისად უწყების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 0% შეადგენს.**

ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვარდნის ტენდენციის საილუსტრაციოდ, გთხოვთ იხილოთ უწყების მიერ 2012 წლის 25 დეკემბერს ჩვენთვის მოწოდებული დეტალური ინფორმაცია პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ და ამავე სამინისტროს მიერ 2014 წლის 5 მარტს მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

2012 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აპარატში გაცემული პრემიები

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გვინდაძე დიმიტრი		3540		3540		3540	7080	3540				
ხეთაგური ალექსანდრე									10620	7080		
პეტრიაშვილი პაპუნა	0	5900	2950	3250	5900	2950	2950	2950	5900	5900		
კერვალიშვილი გოგა	2720	8160	5440	8460	8160	5440	5440	5440	8160	5440		
კემულარია რუსუდანი	0	5440	3020	3020	5440	2720	2720	2720	5440	5440		
ხარაიძე ავთანდილი	2720	5440	2720	3020	5440	2720	2720					
ბაიბურთი გრიგოლი		5440	2720	3020	5440	2720	2720	2720	5440	5440		
ებანოიძე ჯაბა		5440	2720	3020	8160	2720	2720	2720	5440	5440		
ლეჟავა ვახტანგი							5440	5440	5440	5440		
კოვზირიძე თამარი							6650	5440				
ენუქიძე ნინო									8160	5440		
ხადური ნოდარი											3540	3540
თაბუაშვილი გიორგი											2950	2950
ლეჟავა დავითი											2720	2720
ებრალიძე დავითი											2720	2720

2012 წლის 25 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობა შეადგენს - 175365 ლარს; 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს;
2014 წლის 5 მარტს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

მსგავსად პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაციის არასრულყოფილად გაცემისა, 2014 წელს ფინანსთა სამინისტროს მიერ არასრულყოფილი ინფორმაცია იქნა გაცემული ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თანამდებობის პირთა მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებული ვიზიტების სამივლინებო ხარჯები, გადაუდებელი აუცილებლობით განხორცილებული შესყიდვების სია, ჩანაცვლებული ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის ჩამონათვალი და სხვ. შესაბამისად 2014 წელს უწყების პასუხი ინსტიტუტმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის **საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა და ცალსახად მიუთითა, რომ ფინანსთა სამინისტროს ქონდა ვალდებულება გაეცა ინფორმაცია ზემოთ მითითებული ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ დეტალური სახით ისე, როგორც ეს ჩვენი განცხადებით იყო მოთხოვნილი.** მიუხედავად ამისა უწყებამ კვლავაც არ გასცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს. ფინანსთა სამინისტროს არგუმენტაცია არც სააპელაციო სასამართლოს მიერ იქნა გაზიარებული. **ამ ეტაპზე სამინისტროს კვლავაც არ გაუცია ინფორმაცია 2013 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ. უფრო მეტიც, სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა IDFI-ს 2015 წლის მარტის განცხადება, რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას 2014 წელს გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ (სულ 17 მოთხოვნა).** მას შემდეგ რაც სამინისტროს უმოქმედობა ადმინისტრაციული წესით გავასაჩივრეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უარი განაცხადა საჩივრის განხილვაზე და მიგვითითა მიგვემართა პირდაპირ სასამართლოსთვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა ჩვენი 2015 წლის მარტის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ, შესაბამისად არ მოგვაწოდა ინფორმაცია განცხადებით გათვალისწინებული 17 პუნქტიდან არცერთ მათგანზე. **აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სამინისტრომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გასცა არც 2014 წელს, მიუხედავად იმისა რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური რეკომენდაცია გამოსცა საქართველოს სახალხო დამცველმა.** კერძოდ, რეკომენდაციაში ცალსახად იქნა აღნიშნული, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ IDFI-ს განცხადების უპასუხოდ დატოვება წარმოადგენდა სამინისტროს მიერ საკუთარი უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულებას და უწყებას ქონდა ვალდებულება სრულყოფილი სახით გაეცა მოთხოვნილი მონაცემები იქიდან გამომდინარე, რომ ის წარმოადგენდა ღია საჯარო ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (97%), თუმცა სამწუხაროდ ამ შემთხვევაშიც აღნიშული მხოლოდ წინა ხელისუფლების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისადმი მზადყოფნით აიხსნებოდა, რადგან როგორც ეს ზემოთ გამოჩნდა მომდევნო წლებში უწყება უარს აცხადებდა გაეცა ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერვე დაბრკოლების გარეშე გაიცემოდა 2012 წლის არჩევნების შემდგომ პერიოდში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს აპარატი
კვირიკაშვილი გიორგი - მივლინება(ქვეყნის გარეთ)

2012 წლის 26 ნოემბრიდან

	ბრძანება				საავანსო მოთხოვნა			
№	ბრძ№	თარიღი	ქვეყნის დასახელება	სახელი, გვარი	№	გადარიცხვის თარიღი	სულ.ხარჯი	[illegible] მგზავრობის (ავიაბილეთის ხარჯი)
1	#კ-2/409	22.11.2012წ	თურქეთი	გიორგი კვირიკაშვილი	13472	26/11/2012	*959.94*	*702.90*
2	#კ-2/425	10.12.2012წ	ვაშინგტონი	გიორგი კვირიკაშვილი	13674	10/12/2012	*1351.00*	
3	#კ-2/425	10.12.2012წ	ვაშინგტონი	გიორგი კვირიკაშვილი	13678	11/12/2012	*542.30*	
							2853.24	**702.90**

2012 წლის 27 დეკემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ.

ინფორმაცია დანამატების, პრემიების და მივლინების (ქვეყნის გარეთ) ხარჯების შესახებ 2013 წელში თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა დანარჩენ თანამშრომლებზე (ჯამურად)

პუნქტი#	დასახელება	თანამდებობის პირები (მინისტრი, მინისტრის 1-ლი მოადგილე, მინისტრის მოადგილეები, მინისტრის მრჩეველი, დეპარტამენტის უფროსები და მოადგილეები, სამსახურის უფროსები და მოადგილე, ზიუროს უფროსი, სამმართველოს უფროსები)	სხვა დანარჩენი თანამშრომლები (გარდა თანამდებობის პირებისა)
#7	მივლინება (ქვეყნის გარეთ)	343764,15	-

2014 წლის 12 თებერვალს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) სამივლინებო ხარჯების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო



რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2013 წელს უწყების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვნებელი 97,4% იყო, ხოლო 2014 წელს - 76,4%. სამწუხაროდ უწყებამ უპასუხოდ დატოვა ჩვენი 2015 წლის მარტის განცხადება, რომლითაც ვითხოვდით ისეთ ინფომრაციას, როგორიცაა 2014 წლის განმავლობაში ჩანაცვლებული ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის ჩამონათვალი, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, სამივლინებო, წარმომადგენლობითი, როუმინგული ხარჯები და სხვ. აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაცია სულ 17 საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაცია კი არცერთ მათგანზე არ მოგვეწოდა. IDFI-მ საჩივრით მიმართა იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა ჩვენი განცხადებით გათვალისწინებული ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემა. ადმინისტრაციულ საჩივარზე პასუხი მოცემული პერიოდისთვის არ მიგვიღია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ გამჭვირვალობის დაბალი ხარისხით გამოირჩევიან იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც. მოცემული საკითხი დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან პრობლემებს კვლავ ვაწყდებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც. აღსანიშნავია, რომ ეს უწყება, მსგავსად მრავალი სხვა საჯარო დაწესებულებებისა, გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში. 2013 წელს სამინისტრომ დეტალურად მოგვაწოდა ინფორმაცია 2012 წლის განმავლობაში უწყებაში გაცემული პრემიებისა და დანამატების შესახებ, სახელებისა და გვარების მითითებით თვეების მიხედვით. **მიუხედავად ამისა, სამინისტროს მიდგომა ამ შინაარსის ინფორმაციის გაცემისადმი მნიშვნელოვნად შეიცვალა მომდევნო წელს, როდესაც უწყებამ ინფორმაცია თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ გასცა მხოლოდ საკითხის სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ და ისიც მხოლოდ ჯამური სახით.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაცია

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	დარიცხვა
1	ხიზანიშვილი შოთა გივის ძე	63,500
2	ჯანაშვილი შალვა გიორგის ძე	60,750
3	ლორთქიფანიძე გიორგი გურამის ძე	58,250
4	ამირანაშვილი მიხეილ ომარის ძე	54,500
5	ზლულაძე-გლუქსმანნ ეკატერინე მიხეილის ასული	53,250
6	მაისურაძე ზურაბ შალვას ძე	47,125
7	ხარშილაძე ნოდარ მერაბის ძე	37,500
8	კოდუა ერეკლე ნოდარის ძე	35,500
9	გოგოძე ოთარ რევაზის ძე	32,250
10	ძიმცეიშვილი ნიკოლოზ ჯემალის ძე	31,250
11	კანთელაძე ლევან მურმანის ძე	30,625
12	ბაზაძე ოთარ ვლადიმერის ძე	28,750
13	როგავა დავით რევაზის ძე	28,305
14	თავართქილაძე ზვიად ბეგლარის ძე	26,888
15	ამირიძე ალექსანდრე ვალერიანის ძე	24,900
16	უჯიაშვილი შოთა ალბერტის ძე	24,215
17	ჭილაძე გიორგი ვაჟას ძე	20,875
18	კვინიხიძე შალვა ბესარიონის ძე	18,750
19	კორახაშვილი დავით ჯემალის ძე	18,500
20	მესხელი ამირან ნიკოლოზის ძე	18,000
21	კიკნაძე გიორგი გულიევერის ძე	16,839
22	ბედია დავით ომარის ძე	16,550

2013 წლის 7 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია გაცემული პრემიების შესახებ.

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	იულისი
თანამდებობის პირები	2,244,425.22	2,323,946.96	2,591,865.38	2,694,638.11	2,921,325.02	2,898,664.42	3,248,104.73

2014 წლის 29 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის განმავლობაში თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაცია სახელებისა და გვარების მითითებით სამინისტროს ჯერ კიდევ არ გაუხდია ხელმისაწვდომი მიუხედავად იმისა, რომ

სასამართლომ 2014 წელს დააკმაყოფილა IDFI-ს სარჩელი და დაავალა სამინისტროს გაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია.

IDFI პრობლემას წააწყდა მაშინაც, როდესაც სამინისტროდან მოვითხოვეთ სხვადასხვა სახის ინფორმაცია 2014 წლის განმავლობაში გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. სამინისტრომ ამ შემთხვევაშიც უგულებელყო საკუთარი ვალდებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და ჩვენი განცხადებით გათვალისწინებული 19 მოთხოვნიდან ყველა უპასუხოდ დატოვა. სამინისტროს მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო უწყებას ადმინისტრაციული საჩივრით მივმართეთ, რის შემდეგაც მოგვეწოდა მოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი. კერძოდ, სამინისტრომ ინფორმაცია თანამდებობის პირთა შესახებ კვლავ სახელებისა და გვარების მითითების გარეშე ჯამური სახით მოგვაწოდა, ხოლო მონაცემები ჩანაცვლებული ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვებისა და სხვათა შესახებ ჯერ კიდევ არ მიგვიღია. მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სრულყოფილი პასუხი მოგვაწოდა 2015 წლის აპრილში გაგზავნილ განცხადებაზე, რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას საგზაო შემთხვევების სტატისტიკის შესახებ. უწყებამ სრულყოფილი პასუხი მოგვაწოდა ასევე წერილზე, რომლითაც ვითხოვდით სხვადასხვა სახის სტატისტიკურ ინფორმაციას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ჯარიმა დადებულ პირებთან დაკავშირებით. **როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროში პრობლემას ვაწყდებით მხოლოდ ისეთი ინფორმაციის მოთხოვნისას, რომელიც უწყების მიერ გაწეულ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ხარჯებს ეხება.** აღსანიშნავია, რომ IDFI-ს მონაცემებით 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 63,9% იყო მაშინ, როდესაც 2014 წელს ის 26,8 პროცენტამდე დაეცა. რაც შეეხება 2015 წელს მოცემული პერიოდისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეიტინგმა, მცირედით მოიმატა და 46,5% შეადგინა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო



აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტრო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა, როგორც 2013 (87%) ისე 2014 (85%) წლების განმავლობაში. მიუხედავად ამისა უწყებამ რეაგირების გარეშე დატოვა ჩვენი 2015 წლის მარტის განცხადება და მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ მოგვაწოდა. სამწუხაროდ უწყებამ უარი განაცხადა სამსახურებრივი ელ-ფოსტის საშუალებით შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაციის მოწოდებაზე. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ არასრულყოფილი ინფორმაცია მოგვეწოდა ჩვენს იმ მოთხოვნაზეც, რომელიც ავღანეთში, ერაყსა და უკრაინაში დაღუპულ და დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობასა და მათი ოჯახებისთვის გაწეულ ფინანსურ დახმარებას ეხებოდა.

- სამინისტროების დაქვემდებარებული უწყებები, რომლებმაც უპასუხოდ დატოვეს IDFI-ს განცხადებები

1. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (იუსტიციის სამინისტრო)
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (იუსტიციის სამინისტრო)
3. იუსტიციის სახლი (იუსტიციის სამინისტრო)
4. აღსრულების ეროვნული ბიურო (იუსტიციის სამინისტრო)
5. მონაცემთა გაცვლის სააგენტო (იუსტიციის სამინისტრო)
6. სმართ ლოჯიქი (იუსტიციის სამინისტრო)
7. შემოსავლების სამსახური (ფინანსთა სამინისტრო)
8. საფინანსო ანალიტიკური სამსახური (ფინანსთა სამინისტრო)
9. სასაზღვრო პოლიცია (შსს)

სახელმწიფო ხაზინა (ფინანსთა სამინისტრო) - უწყებამ არასრულყოფილი ინფორმაცია მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ მოგვაწოდა)

ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (ფინანსთა სამინისტრო)



აღსანიშნავია, რომ ჩვენი განცხადება საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ უპასუხოდ დატოვა იუსტიციის სამინისტროს ექვსმა, ფინანსთა სამინისტროს ოთხმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთმა დაქვემდებარებულმა უწყებამ (ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა და მომსახურების სააგენტომ მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ, არასრულყოფილი სახით მოგვაწოდეს).

როგორც ზემოთ იქნა აღნიშული ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გასცეს არც თავად იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებმა. სამწუხაროა, რომ იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები იმეორებენ საჯარო ინფორმაციის გაცემისადმი არსებულ იმ პრაქტიკას, რომელიც მათ ზემდგომ სამინისტროებშია დანერგილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა და მომსახურების სააგენტომ არასრულყოფილი ინფორმაცია რამდენიმე თვის დაგვიანებით და მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ მოგვაწოდეს.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ჩვენი განცხადება საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ უწყებათა მიერ რეაგირების გარეშე დარჩა 2014 წელსაც და მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრების წარდგენის შემდეგ მოგვეწოდა.

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო ანალიტიკურ სამსხურს, უწყების მიერ განგვემარტა, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებისთვის არ იყო საკმარისი 10 სამუშაო დღე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა მსგავს შემთხვევებს არ ითვალისწინებს, და იმ შემთხვევაშიც კი თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი მოცულობის და მოითხოვს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების

მოძიებას ადმინისტრაციულ ორგანოებს ეძლევათ უფლება ნაცვლად ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემისა გასცენ ის მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში.

დასკვნა

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული ცენტრალური საჯარო დაწესებულებებისა და მათი დაქვემდებარებული უწყებების ნაწილი არაჯეროვნად ასრულებს საკუთარ ვალდებულებას სრულყოფილი სახით და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გასცენ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვარდნის სწრაფი მაჩვენებელი საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ჯერ კიდევ უარს აცხადებს გასცეს ინფორმაცია 2013 და 2014 წლებში გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯის შესახებ. ეს იმ ფონზე, როდესაც მოცემულ საქმეზე არსებობს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ სამინისტროს აქვს ვალდებულება სრულყოფილი სახით გასცეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს, უწყების მიერ ჯერ კიდევ არ გამხდარა ხელმისაწვდომი ინფორმაცია თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების ისევე, როგორც სხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ, მაშინ როდესაც მოცემულ დავაზე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დააკმაყოფილეს ჩვენი მოთხოვნა და დაავალდებულეს სამინისტრო გაეცა ინფორმაცია სრულყოფილი სახით.

ხაზგასასმელია, ისიც რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროების შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემას ვაწყდებით მათ დაქვემდებარებულ უწყებებში, რაც სავარაუდოდ თავად სამინისტროებში არსებული პრაქტიკის განმეორებით აიხსნება.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოთ მითითებული უწყებების მიერ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ. შედეგად თავიდან იქნება აცილებული ისეთი მანკიერი პრაქტიკა, როგორსაც ადგილი განვილი წლის განმავლობაში ქონდა, როდესაც ერთი წლის დაგვიანებით ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია 2013 წლის განმავლობაში გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ უწყებებმა პროცესის კიდევ უფრო გაჭიანურების გარეშე პროაქტიულად ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია 2014 წლის განმავლობაში გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ.